ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა

და

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას შორის

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

ბავშვსა და ბავშვიან ოჯახზე მორგებული სოციალური პროგრამირების ხელშეწყობის მიზნით

2022 წელი

შესავალი:

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ახალი ინიციატივის შედეგად, ბავშვები და ბავშვიანი ოჯახები ისარგებლებენ ბავშვზე მორგებული მუნიციპალური სოციალური პროგრამებით, რომელსაც გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან პარტნიორობით ახორციელებს.

18 თვიანი პროექტი, *„მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ბავშვზე და ბავშვიან ოჯახზე მორგებული მუნიციპალური სოციალური პროგრამების შემუშავებაში“*, 10 შერჩეულ მუნიციპალიტეტს დაეხმარება ბავშვების და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამების შემუშავებაში.

საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამირების მოდელი დაეფუძნება მეთოდოლოგიას, რომელსაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები იყენებენ. ეს არის კომპლექსური მიდგომა და ემსახურება დაუცველი ბავშვებისა და ოჯახების კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირებას და შესაბამისი მუნიციპალური სოციალური პროგრამების შემუშავებას.

პროექტის ფარგლებში შემუშავდება სოციალური საჭიროებების შეფასების სახელმძღვანელო მითითებები და ინსტრუმენტები, საპილოტე მუნიციპალიტეტებში ადგილობრივ სამუშაო ჯგუფებს ჩაუტარდებათ ტრენინგები და სამუშაო ადგილზე სწავლებები. მუნიციპალიტეტები ასევე მიიღებენ ცოდნას, თუ როგორ დაიანგარიშონ სოციალური პროგრამების ღირებულება. პროგრამის განხორციელების შემდეგ მოხდება სოციალური პროგრამების შეფასება 10 შერჩეულ მუნიციპალიტეტში, ხოლო საუკეთესო გამოცდილება და პრაქტიკა ქვეყნის მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტში გავრცელდება. მუნიციპალიტეტები ასევე შეისწავლიან, თუ როგორ ხდება სოციალური პროგრამების განხორციელების მონიტორინგი.

ადგილობრივ ხელისუფლებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ბავშვთა დაცვისა და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფაში. ადგილობრივი თვითმმართველობა ყველაზე ახლოს არის მოქალაქეებთან და ადგილობრივი თემის საჭიროებების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება უკეთ არის შესაძლებელი ადგილობრივ დონეზე.

პროექტი ეხმაურება მუნიციპალიტეტების ახალ როლს, რომელიც 2019 წელს მიღებული ბავშვის უფლებათა კოდექსით არის განსაზღვრული. კოდექსის მიხედვით, საქართველოს მუნიციპალიტეტებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის კუთხით. ეს როლი ორმხრივია: მუნიციპალიტეტებს უნდა შეეძლოთ საჭიროების მქონე ოჯახებისა და ბავშვების იდენტიფიცირება და მათი მხარდაჭერა სოციალური სამუშაოს და სოციალური მომსახურებების საშუალებით; გარდა ამისა, მუნიციპალიტეტებს უნდა შეეძლოთ არსებული სოციალური საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი მოგვარება ბავშვზე მორგებული სოციალური პროგრამების შემუშავების გზით.

წინამდებარე მემორანდუმი იდება შემდეგ მხარეებს შორის:

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (შემდგომში „ათეა“), წარმოდგენილი „ათეას“ აღმასრულებელი დირექტორის დავით მელუას სახით;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის მამუკა წოწერიას სახით.

პრეამბულა

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერი მხარეები

ვიზიარებთ რა, რომ ღირსეულ პირობებში ცხოვრებისა და განვითარების უფლება არის ბავშვის საყოველთაოდ აღიარებული უფლება,

ვაცნობიერებთ რა, რომ ბავშვთა უფლებების რეალიზებისთვის აუცილებელია ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის სისტემისა და სოციალური მომსახურების სფეროს განვითარება,

ვაღიარებთ რა, რომ სოციალურად და ეკონომიკურად მოწყვლადი ბავშვები და ბავშვიანი ოჯახები საჭიროებენ ადგილობრივი თვითმმართველობის განსაკუთრებულ მხარდაჭერას,

ვითვალისწინებთ რა, რომ მოქალაქეთა ჩართულობა და მონაწილეობითი ადგილობრივი დაგეგმვა წარმოადგენს თვითმმართველობის ქვაკუთხედს,

ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოს კონსტიტუციით, „ბავშვის უფლებათა კონვენციით“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიითა და საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული პრინციპებით,

ვთანხმდებით შემდეგი სახის თანამშრომლობაზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

1. მემორანდუმის მიზანია განსაზღვროს თანამშრომლობის ჩარჩო და ხელი შეუწყოს ხელმომწერ მხარეებს შორის თანამშრომლობას, ბავშვზე და ბავშვიან ოჯახებზე მორგებული მუნიციპალური სოციალური პროგრამირების სრული ციკლის (მ.შ.: საჭიროებათა კვლევა, პროგრამების შემუშავება, პროგრამების ეფექტიანობის შეფასება) დანერგვის/განხორციელების პროცესში.

მუხლი 2. თანამშრომლობის სფეროები

მუნიციპალური სოციალური პროგრამების გაუმჯობესების მიზნით, მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები თანამშრომლობენ შემდეგ საკითხებზე:

2.1. ადგილობრივ დონეზე სოციალური საჭიროებების კვლევის შეთანხმებული მეთოდოლოგიის და ინსტრუმენტების გამოყენებით ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების კვლევის ჩატარება;

2.2. საჭიროებათა კვლევის მიგნებებზე დაფუძნებული სოციალური პროგრამების პაკეტის შემუშავება და განფასება;

2.3. ახალი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით შემუშავებული და განხორციელებული სოციალური პროგრამების შეფასება.

მუხლი 3. *მხარეთა უფლება-მოვალეობები*

წინამდებარე მემორანდუმით ხელმომწერი მხარეები იღებენ შემდეგ ვალდებულებებს:

3.1. „ათეა" იღებს ვალდებულებას რომ:

3.1.1. უზრუნველყოფს საექსპერტო და მეთოდურ დახმარებას საჭიროებათა კვლევის შემუშავებული მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების გამოყენებით მუნიციპალიტეტში საჭიროებათა კვლევის ჩატარების ყველა ეტაპზე;

3.1.2. უზრუნველყოფს საექსპერტო და მეთოდურ დახმარებას კვლევის შედეგად გამოვლენილ საჭიროებებზე ორიენტირებული მუნიციპალური სოციალური პროგრამების შემუშავებასა და განფასებაში;

3.1.3. უზრუნველყოფს საექსპერტო და მეთოდურ დახმარებას მუნიციპალური სოციალური პროგრამების მონიტორინგსა და შეფასებაში;

3.1.4. ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენას და გამოცდილების გაზიარებას;

3.1.5. ჩაატარებს მუნიციპალიტეტის თანამშრომლობისთვის საწვრთნელ, კვალიფიკაციის ამაღლების და წარმატებული გამოცდილების გაცნობის ღონისძიებებს, ამ მემორანდუმის 3.1.1. 3.1.2. 3.1.3. მუხლებში ჩამოთვლილ საკითხებზე;

3.2. მემორანდუმის ხელმომწერი მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას რომ:

3.2.1. ბავშვზე და ბავშვიან ოჯახებზე მორგებული მუნიციპალური სოციალური პროგრამირებისას (მ.შ.: საჭიროებათა კვლევის, პროგრამების დაგეგმვის და პროგრამების

ეფექტიანობის შეფასების პროცესში) გამოყენებული იქნება „ათეას“ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტები და ინსტრუმენტები;

3.2.2. გამოყოფს საკონტაქტო პირს, ვინც უზრუნველყოფს კომუნიკაციას „ათეა“-სთან, ამ მემორანდუმით განსაზღვრულ სფეროებში თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით;

3.2.3. მიაწვდის „ათეა“-ს მუნიციპალიტეტში არსებულ ანალიტიკურ/სტატისტიკურ ინფორმაციას, რაც აუცილებელია ამ მემორანდუმის 3.1.1. 3.1.2. 3.1.3. მუხლებში ჩამოთვლილ სფეროებში პროექტით დაგეგმილი საქმიანობის განსახორციელებლად;

3.2.4. წინამდებარე მემორანდუმის მიზნების მისაღწევად შექმნის სამუშაო ჯგუფს/ჯგუფებს, სოციალური პროგრამირების სრული ციკლის (მ.შ. საჭიროებათა კვლევა, პროგრამების დაგეგმვა, პროგრამების შეფასება) საპილოტე რეჟიმში დანერგვისთვის;

3.2.5. უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შესაბამისი თანამშრომლების დასწრებას „ათეას“ მიერ მუნიციპალიტეტების თანამშრომლებისთვის ჩატარებულ ტრენინგებსა და საკონსულტაციო შეხვედრებზე;

3.2.5. ხელს შეუწყობს და მიიღებს მონაწილეობას პროექტის ღონისძიებებში, შესაბამისი რეკომენდაციებისა და ანგარიშების მომზადებაში;

3.3 მხარეები თანხმდებიან, რომ:

3.3.1. უზრუნველყოფენ ამ მემორანდუმის პირობების შესრულებას მაქსიმალური კოორდინაციისა და თანამშრომლობის გზით;

3.3.2. პროექტის წარმატების უზრუნველსაყოფად, კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით განახორციელებენ ამ მემორანდუმით შეთანხმებულ მოქმედებებს, რეგულარული ჩართულობის და აქტიური კომუნიკაციის მეშვეობით.

მუხლი 4. შეთანხმების მოქმედების ვადა, ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა

4.1. იმ ღონისძიებებისა და სხვა სახის ერთობლივი აქტივობების საკითხები, რომლებიც არ არის ასახული მემორანდუმში, მაგრამ გამომდინარეობს მემორანდუმის მიზნებიდან, რეგულირდება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით;

4.2. მემორანდუმში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობით, წერილობითი ფორმით;

4.3. მემორანდუმი ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 18 თვის განმავლობაში, პროექტის დასრულებამდე.

მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
დავით მელუა “ათეა”-ს აღმასრულებელი დირექტორი	მამუკა წოწერია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი